№ 41. 16 (28) ოქტომბერი 1870 16 (28) ოქტომბერი № 41.

ეროვნული

გაზეთის ფასი

| ლისში და გა- ადგილებში: | გაგზავნით | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 |
| თვისა | — 1 — | — — — „ — 75 კ. |
| ერთის ნომრისა | | — — — „ — 15 კ. |

დაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულე- ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით ზე 1/2 კაპ.

როება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ: სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
ქუთაისში — ლ. ლოლუასთან — პოლიციის ქუჩაზე, მელქონ პალიევის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.
თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეხუთე.

შინაარსი

ამ კვირის ტელეგრამმები.—უცხო ქვეყნე- გერმანია,— საფრანგეთი,—იტალია,—ინგლისი. ფ ბისმარკი.—საქართველო „დროების“ კორპონდენცია იმერეთიდამ.—რუსეთი წერილი ამბე—ნარევი. განცხადებები.—

### ამ კვირის ტელეგრამმები

ს. პეტერბურღი, 7 ოქტომბერს.

— პრუსიის ჯარის მთავარი კვარტირიდამ ცნობა, რომ ნემცების ღენერალს—ვერ- —აუღია ქ. ვეზელი და დიჟონს მიდგო- ალებათა.

8 ოქტომბერს.

ტო-დიჟონი (140 ვერსზეა პარიჟიდამ) აი- ნემცების ჯარმა.

9 ოქტომბერს.

— ბისმარკის ნოტის პასუხათ, ჟულ-ფავრ- გამოსცა ცირკულიარი, რომელშიაც სხვა- მორის ამბობს:

„საფრანგეთმა უარჰყო თავის დამამცირე- ი პირობები, რომელიც პრუსიამ შეაძლია ა. დამარცხებული საფრანგეთი კიდევ დი- ულია; იმას მთელი ქვეყანა თანაუგრძ- ს ამ ჟამათა. უბედურება კიდევ უფრო გრებს და გაამხნევებს იმას.

— ვერდუნის გარნიზონმა დაამარცხა პრუ- ჯარი, ოომელიც უკან გაიქცა.

11 ოქტომბერს.

მცების ბანაკიდამ არის ცნობა, რომ ზენთან (პარიჟის ახლოს) სამი საათის ელობაში ყოფილა ბრძოლა: ფრანცუ- უკან დაუსწევიათ.

ურიდამ. მარშალი ბაზენი 80,000 ჯა- თ გამოვიდა მეციდამ, ოცდა ექვსი ბატა- ნი და კავალერია ნემცებისა დამარცხა 193 ვაგონი სურსათით და საომარი ია- ღებით წაართვა იმით.

— ვენიდამ. ინგლისი ოფიციალურათ ულობს მორიგებას და საფრანგეთში ნა- ონალური კრების მოწოდებას. ის სცდი- ბს სხვა ევროპის სახელმწიფოები დაიხმა- ნ იმას ამ საქმეში. ავსტრია და ვენგრია გლისის წინადადებას მიემხრენ.

12 ოქტომბერს.

ნგლისის წინადადებას—დროებით მორი- ბის და ნაციონალური კრების მოწვევაზე მხრენ სხვა სახელმწიფოებიც; ამ თაობაზე ლისის მმართებლობამ მიიღო პასუხი: ტუ- დამ, ბერლინიდამ, ს. პეტერბურღიდამ, ვე- და ფლორენციიდამ.

ეტერბურღი, 16 ოქტომბერს. უსიის კოროლი ტელეგრაფით აცნობებს ოლევას: კაპიტულაციის ძალით, 15 ოქ- მბერს, მეცში მყოფმა ჯარმა დაჰყარა თოფ- ლი. ჩვენ დავატყვევეთ სულ 150,000 კა- . ამ რიცხვში 10,000 დაჭრილები და ავათ- ფები იყვნენ.

### ომის ამბები

მ დროს, როდესაც ისეთი გასაჭირი ადგა რასბურღს ნემცების ჯარისაგან, რომე- ც გარს ერტყა და ზარბაზნებს უშენდა, ონს და იმის ახლო-მახლო ალაგებში 0,000 კარგათ გამზადებული ჯარი უსაქმოთ თურმე. ეს ჯარი რომ მიშველებოდა სტრასბურღს, სადაც სულ 17 ათ. კაცი იყო, ამბობენ, ნემცებს გაუჭირდებოდათ იმის აღება. სტრასბურღში გაგზავნის მაგიერათ, მმართებლობამ ალჟირიაში გაგზავნა თურმე 7 ათასი კაცი, თუმცაღა დროს იქ მშვიდობიანობა იყო. ამ ნაირ უთავბოლო განკარგულებას ხშირათ ახდენს თურმე ახალი მმართებლობა და ამიტომაც საფრანგეთში ბევრი არიან იმაზე უკმაყოფილოთ; ამითი უნდა ახსნას კაცმა ის არეულებები, რომელნიც იყვნენ ამას წინეთ განსაკუთრებით ლიონში და ზოგიერთ სხვა ქალაქებში.—11 ოქტომბერს პარიჟში ფლუსანსის წინამძღოლით მისულა მმართებლობასთან ხუთი ბათალიონი დაიარაღებული ნაციონალური გვარდია და წარუდგენია თავის პროგრამმა, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ახლა მმართებლობამ.—განსაკუთრებით კრემიეს ტურში სრულებით დაებნა ჭკუა, როგორც ამბობენ; არც თვითონ მოქმედობს რიგიანათ და არც სხვას აძლევს მოქმედების ნებასაო. იმიტომ წასულა გამბეტტა ამას-წინეთ ტურში, რომ რამე საშუალება მოაძებნინოს იქაურ მმართებლობას და უფრო ენერგიულათ მოაკიდებინოს ხელი საფრანგეთის დაცვის საქმისათვის.

— ერთი ინგლისური გაზეთის კორრესპონდენტი იწერება მეციდამ, 29 სექტემბერს, რომ ნემცების ჯარში სხვა და სხვა ავათმყოფობაები გაჩენილა; ამასთან ფრანცუზები ხშირათ გამოდიან თურმე მეციდამ და თავს ესხმიან და მოსვენებას არ აძლევენ ნემცებს. მარშალ ბაზენს ძალიან კარგათ ესმის, რომ მოსვენება და უსაქმოთ გაჩერება ავნებს ფრანცუზის ჯარს და ძალიან მოუხდება ნემცებსა და ამიტომ ის მუდამ გამოდის მეციდამ და თავს ეცემა ნემცებსა. ესევე კორრესპონდენტი გვ არწმუნებს, რომ მეცში დამწყვდეულ ფრანცუზებს ყველაფერი—საომარი იარაღიცა და სურსათიც—საკმაოთა აქვთო. (უკანასკნელი ამბები მეციდამ ნახე ტელეგრამმებში).

— პარიჟი ისე გამაგრებულია ახლა, იმდენი ჯარი ყავს და სხვებიც იმოდენათ არის საომრათ მომზადებული, რომ თითქმის ყველა დარწმუნებული არიან, რომ იმის აღება ძალიან გაუჭირდებათ ნემცებსო. „თუ გაწყრა ღმერთი, და პარიჟი აიღეთო, უთხრა, მოლაპარაკების დროს, ჟულ-ფავრმა ბისმარკს, ნუ გგონიათ, რომ ომიანობა შესწყდესო: პარიჟის აღების შემდეგ, ფრანცუზებს დარჩებათ კიდევ ისეთი დიდი ქალაქები, როგორც ლიონი, ბორდო, ლილი, მარსელი და სხ., რომელნიც უბრძოლველათ არ დაემორჩილებიან ნემცებსაო“. მაგრამ მოლტკე კი დარწმუნებულია თურმე, რომ, პარიჟის აღების შემდეგ, მთელი საფრანგეთი იმის ხელში იქნება და ამისთვის ნემცები ახლავე სცდილობენ უმთავრესი ქალაქების დაჭერას: ამ საქმის ასასრულებლათ ნემცებმა ჩრდილოეთ-დასავლეთისა და სამხრეთისაკენ გაგზავნეს ორი ჯარი, რომელშიაც თითოში ორმოცი ათასი კაცი ითვლება. პირველი ჩრდილოეთის ჯარის სარდლათ მეკლემბურღის გერცოგია დანიშნული და მეორისა—ფოგელ-ფონ-ფალკენშტეინი.

— ტიერი ძალიან კარგათ მიუღია ჩვენ მმართებლობას პეტერბურღში, მაგრამ გარიგებით კი ვერაფერი ვერ გაურიგებია საფრანგეთისათვის. გარჩაკოვს (გარეშე საქმეების მინისტრს) უთხრობია ტიერისთვის, რომ იმან გერმანიასთან მორიგება ურჩიოს დროებით მმართებლობას, თუნდ რომ ეს მორიგება ძვირათაც დაუჯდეს საფრანგეთსო და ამისთვის გამამწესებელი კრების თავის-მოყრა არის საჭიროო. ტიერი პეტერბურღიდამ წასულა ვენაში, აქაც ავსტრიის მმართებლობას კარგათ მიუღია, მაგრამ სახელმწიფოს კანცლერს—ბეისტს—გადაწყვეტით უთქვამს იმისთვის, რომ ავსტრია ამ საქმეში არას-გზით არ გაერევაო. აქედამ ტიერი ფლორენციაში წასულა, იტალიის მმართებლობასთან მოსალაპარაკებლათ.

— „პეტერბურღის უწყებებში“ დაბეჭდილი ტელეგრამმებით ეტყობილობთ, რომ 9 ოქტომბერს, დილის 7½ საათზე, გარიბალდი მისულა ტურში 8 საათზე მისულან იმის სანახავათ დროებითი მმართებლობის წევრები: კრემიე, გლე-ბიზუანი და ლორიე. ამ დროსვე გარიბალდის სახლის წინ მოგროვილან დაიარაღებული ვოლონტერები და შეუთვლიათ იმისთვის, გამოდი და დაგვხედე—როგორ ვართ დამზადებული საომრათაო; მაგრამ გარიბალდის, ავათმყოფობის გამო, ვერ აუსრულებია იმათი სურვილი. ორ საათზე, როცა მმართებლობის წევრებს რჩევა ჰქონიათ რატუშაში, აუარებელი ხალხი შეკრებილა ამ სახლის წინ და გამოუხმია გამბეტა და გარიბალდი; მოჩვენებიან თუ არა ხალხს, იმ წამსვე დაუწყიათ ყვირილი: „გაუმარჯოს გარიბალდის! გაუმარჯოს გამბეტას!“ ორივეს გამამხნევებელი სიტყვები უთქვამთ ხალხისათვის.—

— გარიბალდი მთელი საფრანგეთის ირრეგულიარული ჯარის უფროსათ არის დანიშნული.

— ტურში მოელიან გარიბალდის უფროსს შვილს—მენოტას.

### უცხო ქვეყნები

#### გერმანია

ერთი რუსული გაზეთი (Русская лѣтопись) შემდეგი სახით ხატავს იმ მოძრაობას, რომელიც ეხლა ევროპაში ომის წინააღმდეგ ხდება:

„თუმცა პრუსიის მმართებლობის გაზეთებმა შეურაცხყოფით მიიღეს ახალი რესპუბლიკის მმართებლობა და მისი მშვიდობიანობის წინადადება, რესპუბლიკამ მაინც მაშინვე მრავალი მომხრეები იშოვა, არა თუ მარტო ოკეანის გაღმა, მაგრამ სამხრეთის ევროპაში და თვით მეომარ პრუსიაშიაც. ეს მომხრეები—მუშების მილიონები არიან, რომელნიც ყველა მხრიდან საფრანგეთის რესპუბლიკას თავიანთ ძმურ სალამს უგზავნიან; მათი აზრით „რესპუბლიკურ საფრანგეთში მდგომარეობს ევროპის თავისუფლება“, და „მონარხიულ გერმანიაში კი—დესპოტიზმი და საზოგადოების უკან დაწევა“ (ამას შვეიცარიელი მუშების მანიფესტი ამბობს).

„ევროპაში მხოლოდ ამ მუშების არმია არ სცვლის თავის აზრს და ამ აზრის თანახმად მოქმედებს. საფრანგეთშიც, პრუსიაშიც და ავსტრიაშიც მხოლოდ მუშებმა გაჰკიცხეს ომი, როგორც მის დაწყებამდი, ეგრეთვე ეხლა, როცა ომი გაცეცხლებულია. მხოლოდ ამ შრომის-შვილებს გაუგიათ მშვიდობიანობის სიკეთე და მხოლოდ ესენი თხოულობენ მშვიდობიანობას, განათლების მომავალი წარმატების გულისთვის. ამ უკანასკნელ დღეებში ომის სასტიკი წინააღმდეგობა და ძმური სალამი საფრანგეთისადმი მოისმა:

— შვეიცარიიდგან, იქაური სოციალურ-დემოკრატებიდან;

— ხალხებს-შუა მშვიდობიანობის და თავისუფლების კავშირის“ კამიტეტიდგან;

— ვენის მუშებიდან, რომელნიც აგონებენ გერმანიელებს „ნუ მისდევთ ნაციონალურ დაბრმავებას და ნუ გინდათ მშვიდობიანობის პირობათ—საფრანგეთის დამცირება და ელზასის და ლოტრანგიის მითვისება:— ეს მითვისება ხელახლავ აღძრავს ნაციონალურ შურს, რომელიც განათლებას ემტერება და ჰკლავს;

— ლონდონიდგან, სადაც უშველებელი მუშების ყრილობა (მიტინგი) მოხდა, რომელმაც „დააწესა, საფრანგეთში რესპუბლიკის ხელ-ახლავი დაარსება ევროპაში ნიადაგი მშვიდობიანობის დაარსებათ უნდა ჩაითვალოსო,“ და „ყველა განათლებულ და ქრისტიანულ ხალხებს უნდა შევაგონოთ ნიადაგი ჯარების მოშლაო.“ იმავე ყრილობაზე მუშები საფრანგეთს „უპატიოსნო და ტირანიული დინასტიის ხელიდან გათავისუფლებას“ ულოცვენ, იხსენებენ პრუსსიის ხელმწიფის გამოცხადებას, რომელმაც ომის წინ თქვა „საფრანგეთს და მის ხალხს კი არ ვებრძვი, ნაპოლეონ მესამის მმართებლობასო,“ და იმედს აცხადებენ, რომ „პრუსიის ხელმწიფე არ დაარღვევს თავის საკუთარს გამოცხადებასო;

— და სოციალისტური პარტიიდან, თავათ პრუსიაში, კენიგსბერგში და ბრაუნშვეიგში.

„მაგრამ ეს წინააღმდეგობა ამაოთ ჩადის: ამ სიტყვებს არავინ ათხოვა ყური ომის დაწყების წინ და არც არავინ ეხლა ათხოვებს. გასაკვირველი საქმე ის არის, რომ ამ მუშებს, რომელნიც ასე ხმა-მაღლა აცხადებდენ და აცხადებენ ომის წინააღმდეგობას და მშვიდობიანობას თხოულობენ, ამ მუშებს შინაგანი მოძრაობის და არეულობის დამთესათ სთვლიან! ისინი სხვების რიცხვში, ხმა ამოუღებლათ, უნდა ჯარში გაერიონ და იბრძოლონ იმ საქმისთვის, რომელიც მათთვის შესაზიზღებელია, მაგრამ იმათ ამასაც არ აჯერებენ: ომით დამხობილი აღებ-მიცემა და ხელოსნობა როგორც ეხლა, ისრე ომის შემდეგ, ყველაზე უფრო მძიმეთ და სასტიკათ მუშა-ხალხის ოჯახობას და მდგომარეობას დაეტყობა.— და იმავე დროს, მათი უბედურების მომხდენი (ნაპოლეონი) უდარდელათ ტკბება სიცოცხლით მშვენიერ სასახლეში, და ალტაცებით ხშირ-ხშირათ იმეორებს: „საუცხოვოა! საუცხოვოა!“

ამას შემდეგ ზემოხსენებულ—გაზეთს მოჰყავს პრუსიის და გერმანიელი მუშების განცხადება, რომელშიაც ისინი ამბობენ, რომ საფრანგეთის ხალხი არ უნდა შევურაცხყოთ, და საფრანგეთის რესპუბლიკას უნდა შეურიგდეთ ისე, რომ შერიგება საფრანგეთისთვის დამცირებელი არ იქნესო. პრუსიის მმართებლობამ ამ გამოცხადების დამწესები დაატუსაღა. აი რას ამბობს ამ განკარგულებაზე ის გაზეთი, რომლიდანაც ჩვენ გადმოვთარგმნეთ წინანდელი სტრიქონები:

„დასავლეთის ევროპაში ყველა სახელმწიფოებიდან მოისმა მუშების ხმა ომის წინააღმდეგ და „ძმური“ სალამი საფრანგეთის რესპუბლიკას. მაგრამ არც ერთმა მმართებლობამ,—აგრე გაშინჯეთ, არც ეჭვიანმა ავსტრიის მმართებლობამ—არავის ხელი არ ახლო. განათლებულმა პრუსიამ კი სხვაფრივ მოიქცა: იმან დაიჭირა მუშები, ბორკილები ჩამოაცვა და ციხეში ჩასვა!

„საბრალო გერმანიელები, რომელნიც შეერთებას მსწრაფლ-მსროლელი თოფით და ზარბაზნებით ეძებენ! ვაი თუ ერთობა მართლა „პრუსიის კაზარმათ“ გადაექცეს. „ვაი გამარჯვებულებს!“

## საფრანგეთი

— ახლანდელი მმართებლობის შინაგანი საქმეების მინისტრმა—გამბეტამ—გამოსცა 9 ოქტომბერს ტურში, სადაც ის აეროსტატით მივიდა პარიჟიდამ, ქვემო მოყვანილი პროკლამაცია:

„დეპარტამენტების მოქალაქენო! რესპუბლიკური მმართებლობის განკარგულებით, მე მივატოვე პარიჟი იმისთვის, რომ გადმოქცეთ თქვენ ინსტრუქციები და განკარგულებაები იმ პირებისა, რომელთაც ამ გაჭირვების დღეს იკისრეს საფრანგეთის დაცვა უცხო—ქვეყნელებისაგან.

„პარიჟს ჰყავს ამ ჟამად 400,000 დაიარაღებული ნაციონალური გვარდიის სალდათი, 100,000 პროვინციებიდამ გამოხმობილი კაცები მოძრავი გვარდიისა და 60,000 რეგულიარული ჯარი. ნაციონალური გვარდიის თითო ბატალიონს ორ-ორი მიტრალიეზა აქვს, იმათთვისვე ამზადებენ ახლა მინდვრის ზარბაზნებსა; ფორტებში (პარიჟის გარშემო ციხეებში) დგას მშვენიერი არტილერიისა და ზღვის ჯარი. 4 სექტემბერს პარიჟის კედელზე 500 ზარბაზანი იყო, ახლა კი იქ 3,800 ზარბაზანი, თავის ყუმბარებითა და სხვა მასალებით, მოელის მტერსა.

„პარიჟი უძლეველია; იმის აღება შეუძლებელი საქმეა; უეცრათ დაცემა ნემცებს არ შეუძლიათ, რადგან ჩვენ მუდამ მზათა ვართ. არეულობა არ იქნება პარიჟში, აგრეთვე არც ხორაგი შემოაკლდება იქაურ მცხოვრებლებსა. პარიჟელები მამაცურათ მოითმენენ ყოველ ნაკლულევანებას და შევიწროებასა, ოღონდ კი იმათ მოძმეებს პროვინციებში ჰქონდესთ საომრათ მომზადების დრო. ამ ნაირი მდგომარეობა პარიჟისა ვალდებულათ გვხდის ჩვენ; პირველი ჩვენი ვალდებულება ის არის, რომ ძმურათ მოუმართოთ ხელი რესპუბლიკურ მმართებლობას, რომელსაც მხოლოთ ის ჰსურს, რომ დაიცვას საფრანგეთი იმ უბედურობისაგან, რომელშიაც ჩააგდო ის მონარხიამ.

„კაცები ჩვენ საკმაოთა გვყავს; გვაკლია მხოლოთ გაბედულობა და მხნეობა. მმართებლობამ შეკრა პირობები, რომლითაც ის მოიპოებს აუარებელ თოფებს და სხვა საომარ იარაღებს. რაც შეეხება ჯარების ჩაცმადახურვას და სხვაფრივ დამზადებას, ჩვენ ამისთვის მუშებიც საკმაოთა გვყავს და არც ფულები გვაკლია.

„ყველაფერი საშუალება, რაც კი გაგვაჩნია, საქმეში უნდა გამოვიყენოთ.

„აღსდგეთ დიდიდამ პატარამდი და მოვკვდეთ, ის გვირჩევნია, ვიდრემ საფრანგეთის განაწილების ნება მივსცეთ ვისმე.“

— ფრანცუზულს გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი პროკლამაცია, რომელიც გამოაცხადა „სამხრეთი საფრანგეთის კავშირმა.“

„მოქალაქენო! მტერი მიდგომია პარიჟს. ჩვენ ვალდებულები ვართ დავეხმაროთ ჩვენ თანამოძმეებსა. საქმე იმაში კი არ არის, რომ ჩვენ აქ მოუცადოთ მტერს; ჩვენ ახლავე უნდა შევადგინოთ არმია, რომელმანც უნდა დაიცვას საფრანგეთი. ამისათვის რონის დეპარტამენტებმა შეადგინეს“ სამხრეთი საფრანგეთის კავშირი რესპუბლიკის დაცვისათვის.“ მაგრამ სამხრეთის კავშირი არ შეადგენს ცალკე სახელმწიფოს სახელმწიფოში: სამხრეთი არ მოსცილდება პარიჟსა და დანარჩენ საფრანგეთს, ის იმოქმედებს იმათთან ერთად, სამშობლოსა და ერთად ერთი რესპუბლიკის დასაცველათ. ამისათვის ჩვენთვის აუცილებელათ საჭიროა შევაერთოთ რაც ძალა გვაქვს და ძმურათ დავეხმაროთ პარიჟსა. შევერთდეთ ყველანი ჩრდილოეთიდამ სამხრეთამდი და აღმოსავლეთიდამ დასავლეთამდი! რონის, ჟირონდის, ბრეტანის არმიებო, გასწიეთ პარიჟისაკენ!“

— ვიქტორ ჰიუგომ მისწერა მეორე წიგნი პარიჟელებს, რომელშიაც სხვათა შორის ამბობს:

„პრუსიელებმა გადაწყვიტეს, რომ საფრანგეთი გერმანიათ უნდა გადიქცეს და გერმანია პრუსიათ; იმათ გადაწყვიტეს, რომ მე, ლოტარინგიაში დაბადებული კაცი, ნემეცი ვარო; იმათ გადაწყვიტეს, რომ პარიჟი, ის პარიჟი, რომელიც ოთხი საუკუნის განმავლობაში ანათებდა მთელ ქვეყანას, აღარ არის საჭიროო, რომ იმათ ბერლინს შეუძლია პარიჟის მაგიერობა, რომ, სადაც ბისმარკი არის ქვეყანაში, იქ ვოლტერი არაფრის მაქნისია. პარიჟის დაქცევით ისინი დაამახინჯებენ მთელ ქვეყანას! განა ეს საფიქრებელი საქმეა? მაშ დაეცით, ნემცებო, პარიჟსა, ესროლეთ იმას თქვენი ყუმბარები! სანამ მანდ, პარიჟის კედლებთან იდგომებით, თქვენთვის თოვლს, ზამთარს, წვიმას და სეტყვას გამოგზავნის ზეცა! პარიჟი ცეცხლით დაიცავს თავს. პარიჟი, რომელიც იმდენ სიამოვნებას აძლევდა კაცებს, ახლა შეაშინებს ქვეყანასა! დედა-მიწა გაოცდება, როცა შეხედავს—თუ რა დიდებულათ კვდება პარიჟი! პარიჟო! შენ ყვავილებით შეამკე სტრასბურღის ძეგლი; მაგრამ თვითონ შენ ისტორია ვარსკვლავების გვირგვინს დაგადგამს!“

— როგორც სჩანს, ნაპოლეონს ჯერ სრულიად არ დაკარგვია იმედი საფრანგეთის ტახტზე დაბრუნებისა. თვითონ ისა და იმის მომხრეები, განსაკუთრებით რუერი, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ გაამართლონ თავის მოქმედება და ყველაფერი ახლანდელი უბედურება საფრანგეთის რესპუბლიკელებს დააბრალონ. ამ აზრით ბონაპარტიელები სცემენ ლონდონში თავის გაზეთს („Situation“) და სოფლის ხალხში ავრცელებენ იმ აზრს, რომ ნაპოლეონს უღალატეს რესპუბლიკელებმა, თორემ ის უსათუოთ დაამარცხებდა ნემცებსაო. მართალია, სოფლეელების მომატებულ ნაწილს ნაპოლეონის მხარე უჭირავს, ისინი ახლანდელ რესპუბლიკურ მმართებლობასაც ემდურიან, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საფრანგეთის გონებით და ზნეობით ძალას, სოფლელები კი არა, ქალაქის მცხოვრებლები შეადგენენ და ესენი, აგრეთვე ჯარიც, საშინლათ უკმაყოფილოთ არიან ნაპოლეონზე და იმის მმართებლობაზე; ასე რომ ყოველ შემთხვევაში ძნელათ წარმოსადგენია ნაპოლეონის ხელმეორეთ საფრანგეთში დაბრუნება. სოფლების გარდა ნაპოლეონს ნემცების იმედი აქვს; ნემცებს, რასაკვირველია, ნაპოლეონი ურჩევნიათ, რადგან ის უფრო მეტს დაუთმობს იმათა, მორიგების დროს; მაგრამ, როგორც უკანასკნელ დროს ამოჩნდა, ესეც ტყუილი იმედია, ამიტომ რომ ნემცები კარგათ ხედავენ, რომ ფრანცუზებს არ შეუძლია იმის გუება. იმპერატრიცა ევგენია და სხვა ბონაპარტისტები კი თხოულობენ, რომ ნაპოლეონმა ხელი აიღოს საფრანგეთის ტახტისაგან და ამით ვითომ დაუმტკიცოს ფრანგებს თავის პატრიოტული გრძნობა. შემდეგ, ბონაპარტისტების ანგარიშით, ტახტზე შევა ნაპოლეონის შვილი და თვითონ ევგენია რეგენტათ იქნება.

უკანასკნელ დროს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ბაზენსაც ნაპოლეონის მხარე უჭირავსო და თუ გაიმარჯვა, ეცდება, რომ ან ისა და ან იმის შვილი დასვას ისევ საფრანგეთის ტახტზეო. ამბობენ, ვითომც ამ საქმეზე მოსალაპარაკებლათ ღენერალი ბურბაკი გამოეხმოთ მეციდამ და ის იმპერატრიცასთან იყო ინგლისშიო. მაგრამ, არც ერთი გარემოება არ გვარწმუნებს ჩვენ, რომ ეს ხმები მართალი იყვნენ და რომ ბაზენს რესპუბლიკის ღალატი ჰსურდეს.

— ამას წინეთ პარიჟის მცხოვრებლებმა ისეთი სანახავი ნახეს რომელიც თავის დღეში არ დაავიწყდებათ: ქუჩებში ჩამოატარეს თურმე რამდონიმე ფრთხალი სალდათი, ხელებ-წაკრული და უკუღმა ჩაცმული ტანისამოსითა. თავ-ჩაღუნული მიდიოდნენ ისინი; გულზე ეკიდათ ფიცარი, რომელზედაც ეწერა: „ესა და ესა (სახელი და გვარი) საძაგელი მხდალი, რომელმანც მიატოვა თავის ამხანაგები და გამოექცა მტერს ბრძოლის ველიდამ. მიაფურთხეთ მაგას თვალებში. ეს შერცხვენილი ლაჩრები მიეცემიან სამხედრო სამართალს და სიკვდილი ყველაფერს უნდა ერჩიოს ახლა მაგათა“.

— ერთი გაზეთის კორრესპონდენტი იწერება, რომ ჯერზეის *), სადაც ამ ჟამად იმყოფებიან ბაროში, რუერი, დრუენ-დე-ლუისი, ლებეფი და სხვა ნაპოლეონის მინისტრები, თავის დღეში არ უნახავს იმდენი ოქრო და ვერცხლი, რამდენსაც ახლა ხედავსო. მუდამ დღე მოაქვთ თურმე ზღვით ფულებით გატენილი ზანდუკები ამ მინისტრებისა და ესენიც სიხარულით ეგებებიან საფრანგეთში მოგროვებულ სიმდიდრესა. რას დასდევენ ისინი, რომ საფრანგეთი იღუპება: ვერცხლით სავსე ზანდუკები არ ურჩევნიათ საფრანგეთსაო! უმატებს კორრესპონდენტი.

## იტალია

— ოქტომბრის 10-ს რომის დეპუტაციამ იტალიის კაროლს —ვიქტორ-ემმანუილს—წარუდგინა ანგარიში—თუ რამდენმა ისურვეს რომის მაზრაში იტალიასთან შეერთება და რამდენმა—არა. ამ დროს ვიქტორ—ემმანუილმა სთქვა, რომ, რომის შეერთების შემდეგ, იტალიის ერთობა დაგვირგვინებული არისო.“ დღეის შემდეგო, სთქვა კაროლმა, იტალიელები თვითონვე განაგებენ თავის საქმეებს. მე, როგორც კათოლიკის კაროლმა, უნდა გამოვაცხადო აგრეთვე ეკკლესიისა და რომის პაპის დაუმოკიდებლობა საეკლესიო საქმეებში.“

— „ოფიციალურს გაზეთში“ გამოცხადებულია დეკრეტი, რომლის ძალით რომი და პაპის მაზრა იტალიის საკაროლოს შეუერთებიან. პაპი ძველებურათ იქნება დაუმოკიდებელი, იმას ექნება პიროვნებითი უფლებები მონარხისა.

— ღენერალი ლამარმორა რომში და იმის მაზრებში ნამესტნიკათ დაინიშნება. ზოგიერთი პოლიტიკური დამნაშავეებისთვის ამნისტია (პატიება) არის გამოცხადებული.

— შვიდ ოქტომბერს ნიცაში შეკრებილა კამიტეტი, რომელზედაც გადაუწყვეტიათ, ყოველი ღონის-ძიება ვიხმაროთ, რომ ნიცა ისევ იტალიას დაუბრუნდესო. ამბობენ, რომ ტიერი, ფლორენციაში ყოფნობის დროს, ეცდება, რომ ნიცა არ ჩამოერთვას საფრანგეთს.

— მაძინი, რომელიც რომში შეპარვას და ხალხის აჯანყებას აპირებდა, ამას წინეთ დაიჭირა იტალიის მმართებლობამ გაეტაში და ციხეში ჩასვა. გაზეთები გვაცნობებენ ახლა, რომ ის გაუთავისუფლებიათ ტუსაღობისაგან.—

## ინგლისი

ლონდონში, 7 ოქტომბერს, ყოფილა დიდი კრება იქაური მუშა-ხალხის წარმომადგენლებისა, რომელზედაც გადაუწყვეტიათ,—უკმა
ფილება გამოუცხადოთ გლადსტონსაო, ი
თვის რომ ინგლისის მმართებლობამ დღე
არ აღიარა საფრანგეთის რესპუბლიკაო.
ტინგზე სხვათა შორის ხელმეორეთ დაუ
ათ, რომ მმართებლობამ აღიაროს საფრან
თში რესპუბლიკური მმართებლობა; ამას
და სრულიად მოსპოს სამუდამო ჯარის
ლა და მალე მოიწვიოს პარლამენტი, რო
ლიც მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე ეც

— ირლანდიაში მოგროვილან რამდე
მარჯვე ყმაწვილი კაცები და, იმათი სიტყ
ომის ველზე შიდიან დაჭრილების მოსავ
ლათ. მაგრამ ნამდვილ კი, როგორც ამბო
ფრანცუზების დახმარებას აპირებენო; და
გამო ზოგიერთი ინგლისური გაზეთებ
ჩვენ მმართებლობას—ნუ გაუშვებთ იმათ
ფრანგეთშიო, რადგანც ინგლისს ამ ომში
იტრალიტეტი უჭირავს და არ უნდა და
როს არც ერთ მეომარ მხარესაო.

## გრაფ ბისმარკი

(ბიოგრაფია)

გრაფ ბისმარკი, პრუსიის მმართებლ
პირველი პირი, ისეთი კაცია, რომლის მ
სი ცოტა ყოფილა ამ უკანასკნელ საუკ
ში; მართლაც, ერთ კაცს რომ იმდონი გ
თებინოს რომელიმე სახელმწიფოსთვის,
დონიც ბისმარკმა ვააკეთა პრუსიის გას
ერებლათ, ძალიან იშვიათი მაგალითია.
წარმოგვიდგენდა გერმანია უკანასკნელ დ
ებამდი? პატარ-პატარა, ზოგიერთი ჩვენი
გი თავადიშვილის მამულის ოდენა, სახელ
ფოებს, რომლებსაც არც ძალა ჰქონდათ,
თანხმობა ერთმანეთში და არც ხეირიანი
წყობილება. დღეს კი რას წარმოგვიდ
გერმანია? რა იქნება ის, თუ იმნაირივე გა
ჯვებით დააბოლოვა ახლანდელი ომი საფ
გეთთან, როგორც დაიწყო? გერმანია წა
გვიდგება ჩვენ შეერთებულ, უძლეველ და
დებულ სახელმწიფოთ, რომელსაც, რუს
მეტი, ვერც ერთი ევროპის სახელმწიფო
ჩამოუდგება წინა. რასაკვირველია, ჩვენ
ვტყვით, რომ ეს გერმანიის და განსაკუთ
ბით პრუსიის ამაღლება და გაძლიერება
ტო ბისმარკის საქმე იყოს: როცა ბისმ
ჩაიგდო ხელში პრუსიის მმართებლობა,
თქმის ყველა მასალები დამზადებული იყ
შენობისათვის, რომელიც იმას უნდა აე
ბინა; თითქმის ყველა ცოტათი მაინც გ
ლებული ნემეცი გერმანიის ერთობაზედ
ქრობდა და ჰქადაგობდა. ბისმარკის მნი
ლობა იმაში მდგომარეობს, რომ იმან სა
ში გამოიყენა და მოიხმარა ყველა ეს მ
ლები; და ამ საქმეს ის მართლაც შესანი
ვის გამჭრიახობითა და ოსტატობით შეუ

თვითონ ბისმარკი გერმანიის ერთობ
სრულიადაც არ ზრუნავდა: იმის წადილ
იყო, რომ პრუსია გაეძლიერებია, იმას ჰ
და და ჰსურს კიდეც, რომ მთელი გერმ
პრუსიის ხელ-ქვეშ იყოს და თითქმის
ვაც აასრულა, ჩვენი თვალების წინ, ე
ვის სურვილი.

ამ საუკუნის დასაწყისიდამ პრუსია ყო
ღონის-ძიებას ხმარობდა, რომ პირველი
გილი დაეჭირა გერმანიაში, რადგანაც კა
იცოდა, რომ გერმანიის წვრილმანი და
ტი სახელმწიფოები იმის მხარეს დაიჭერ
ვინც უფრო ძლიერი იქნებოდა გერმანი
ამიტომ პრუსიამ უმთავრესი ყურადღებ
აქცია იმ საგანს, რომელიც, საუბედურ
დღემდი თითქმის ყველგან ხალხის სიმძ
რეს ნიშნავს: პრუსიის მმართებლობამ მ
ცია ყურადღება ჯარების დამზადებას დ
ვის მოქალაქეების სამხედრო საქმეში გაწ
ნასა. ამასთან არც ის დაუგდია უყურა
ბოთ, რაც ნამდვილი ნიშანი არის რომე
მე ხალხის ძლიერებისა; მე ვამბობ ხალ
განათლებაზე: არც ერთ სახელმწიფოში

---

*) კუნძულია, ინგლისის გვერდით.

იმდონი წერა-კითხვის მცოდნე კაცი უბ-
ხალხში და იმდონი განათლებულები,
ნიც პრუსიაშია. 1848 წლიდამ დაწყე-
, ბისმარკის წადილი ის იყო, რომ
დრო მხრით გაეძლიერებია პრუსია.

ცა ამ ნაირათ დაემზადა პრუსია, შემდეგ
რკი შეუდგა თავის პლანების ასრულებას.
-თუთხმეტი წლის წინეთ პრუსია იმდე-
ძლიერი შეიქნა, რომ იმასთან ფეხის წა-
ლდა გერმანიაში მხოლოდ ავსტრიას შე-
. მაშ, თავის პლანების ალსასრულებლათ,
რველესი ცდა ბისმარკისა ის უნდა ყოფილ-
რომ დაემცირებია ავსტრია და იმასაც
დაჯდომოდა. აი, მხოლოდ ეს ჰქონდა
ბისმარკს 1866 წელსა, როდესაც
ანობა აუტეხა ავსტრიას და თავის გაწვრ-
ლი ჯარებით და მსწრაფლ-მსროლელი
ვებით ისე საშინლათ დაამარცხა ისა. 1866
ს ომის შედეგი იყო, ერთი მხრით, პრუსი-
ან პირველი ადგილის დაჭერა გერმანია-
და მეორე მხრით ავსტრიის დამცირება.
გარდა თვითონ პრუსია გაძლიერდა ზო-
ითი პატარა სახელმწიფოების შემატებით,
ლებიდამაც შესდგა „ჩრდილოეთ გერმა-
კავშირი“ და რომელნიც ვალდებულნი
ენ, ომიანობის დროს, პრუსიას დახმარე-
ნენ, პრუსიისავე წინამძღომლობით.

ს არის პირველი ნაწილი იმ პლანისა, რო-
იც ბისმარკს უნდა შეესრულებინა; სრუ-
პლანი იმას თხოულობდა, როგორც ზე-
სთქვით, რომ ყველა გერმანიის სახელ-
ოები პრუსიისთვის ეძლევა; მაგრამ 1866
ს შემდეგ, სამხრეთი გერმანიის სახელ-
ოები სრულებით დამოუკიდებელნი იყვ-
პრუსიისაგან.

ლევანდელი ომიანობა სულ იმ მიზეზით
ატეხილი, რომ პრუსიას მისცემოდა შეძ-
თავის პლანის სრულათ ასრულებისა.
რკი იმდენათ გამჭრიახე ჭკუის კაცია,
გარგათ იცის, რომ ძლიერი საფრანგე-
დამარცხების შემდეგ, წვრილი გერმანიის
ლმწიფოები პრუსიას წინ ველარ დაუდგე-
. ყველასთვის ცხადია და გაზეთებშიაც
ენ ახლა, რომ თუ გამარჯვებული დაბ-
და პრუსია საფრანგეთიდამ, მთელი გერ-
ს წვრილმანი სახელმწიფოები შეერთდე-
და ერთს საზოგადო კავშირს შეადგენენ
მ კავშირში, რასაკვირველია, პირველი
ლი პრუსიას მიენიჭება; სხვებმაც რო არ
ონ, თვითონ, თავის ძალით, მიინიჭებს.
ირათ, ბისმარკი აასრულებს თავის წადი-
. მოდი და ნუ იტყვი, რომ ამისთანა
ების გამკეთებელი კაცი—შესანიშნავი
ა, თქო.

აგრამ რამდენათაც ბისმარკი გარეშე საქ-
ში გამჭრიახე პოლიტიკი, დიპლომაციის
დნე და პრუსიისთვის სასარგებლოა, იმ-
ათ შინაგან საქმეებში ის წინდაუხედავია
ხალხის თავისუფლების მტერი. აი რას ამ-
ს იმაზე ერთი ინგლისელი: „ჩვენ არ გვ-
ა, რომ ბისმარკს შინაგანი საქმეების წა-
ნა შეეძლოს: იმას სძულს ნამდვილი თა-
უფლება, ის ვერ მოითმენს, რომ იმის ზე-
ვინმე იყოს, თვითონ იმას კი ჰსურს, რომ
ს აჯდეს კისერზე. ვის არ ახსოვს ბის-
კის სიტყვები, რომელიც იმან უთხრა ოპ-
ციურ დეპუტატებს პრუსიის პარლამენ-
: „პრუსიის ხალხი იმდენათ განათლებუ-
, რომ იმას კონსტიტუცია არ სჭირიაო,
მანიას პრუსიის ლიბერალური მმართებ-
ბა კი არ უნდა, პრუსიის ფიზიკური ძალა
ო.“ ახლაც იმ აზრის არის ბისმარკი,
თავისუფლება და კონსტიტუცია სრუ-
ით არ არის ხალხისათვის საჭირო და
შეეძლოს, უეჭველია, ის უფრო მოუ-
და ხელს და შეავიწროებდა პრუსიელებსა.
ეკუთვნის იმ პარტიას, იუნკერებს, რომე-
ხალხის დიდებასა და ძალას მარტო
მი და სამხედრო ნაწილის კარგათ გამარ-
ში ჰხედავს.

როგორც უნდა იყოს, ამ თავ-მოყვარე და თავისუფლების მტერმა კაცმა ისეთი საქმეები ჩაიდინა, რომლის მაგალითი ბევრი არ მოიპოება ისტორიაში.

---

# საქართველო

## იმერეთიდგან

(„დროების“ კორრესპონდენცია)

ზოგიერთს ქუთაისის გუბერნიის უეზდში ორ-ორი მომრიგებელი მოსამართლეების განწესებამ დიდი სარგებლობა მოუტანა სოფლის ხალხს, იმითი რომ მოშორებული სოფლების ხალხი აღარ მიდის თვითონ ქუთაისში და უეზდის ქალაქებში საჩივრისათვის, იმდენათ არა სცდება თავის საქმესა და არც მოსდის ბევრი ხარჯი, რადგან ახლო აქვს საჩივრის ადგილი. — ჯერ-ჯერობით, როგორც მკითხველსაც ეცოდინება, მარტო სამს უეზდშია ორ-ორი მოსამართლეები: ქუთაისის, შორაპნის და რაჭის უეზდში.

ამას წინეთ მე შემემთხვა ყოფნა ერთს იმ პატარა ქალაქთაგანში, სადაც ცალკე მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე არის განწესებული. ამ პატარა ქალაქში ანუ, უკეთ ვთქვათ, დაბაში, როგორც საზოგადოთ მთელს იმერეთშიაც, იციან პარასკეობა, ე. ი. პარასკევ დღეს ახლო-მახლო სოფლებიდამ იკრიბება ხალხი იმერეთის ქალაქებში და ვაჭრობს. გარდა პარასკევისა, თითქმის მთელს ქვეს დღეშიდ აქ სულ ცუდათ არიან ვაჭრები; რადგან პატარა ქალაქია, ვაჭრობაც სუსტია.

უსაქმოთ რომ კაცი იქნება, ის ეძებს როგორმე დრო გაატაროს. ჩვენი დაბის მცხოვრებლები ამ დროს, თუ მასლაათს არ შეექცევიან, მომრიგებელ სასამართლოში მიდიან ხოლმე და საქმეებს უგდებენ ყურსა.

22 სექტემბრისას, დილის მეცხრე საათზედ, შევხედე, რომ რამდენიმე აქაური ვაჭრები, რამდენიმე თავადნი და აზნაურნი მიდიოდნენ მომრიგებელ მოსამართლესთან.

ერთმა ჩემმა ნაცნობმა მთხოვა, წავიდეთ ჩვენცო, დღეს ირჩევა საქმე ორის აქაურის მღვდელისაო, რომელთაგან არისო ერთი აქაური გამგებელი საეკკლესიო ადგილებისა და მეორეც აქაურივე მღვდელიო.

მე დავეთანხმე ჩემს ნაცნობს და წავედით ერთათ მომრიგებელს სასამართლოში. პირველად მომრიგებელ მოსამართლემ მიიღო საჩივრები სხვა და სხვა პირებისა; შემდგომ ამოიკითხა გვარი ამ ორის მღვდლისა. წამოდგნენ ერთის მხრით თვითონ გამგებელი, მეორეს მხრით ვექილი იმის მოწინააღმდეგე მღვდლისა, რომელიც (რასაკვირველია არი იაფათ) ქუთაისში ექირავნა ამ მღვდელსა.

მომრიგებელი მოსამართლე ჰკითხულობს საჩივარს უფ. გამგებლისას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ვითომც მეორეს მღვდელს დაუდგამს სახლი გამგებლის საკუთარს ადგილზედ და შეუვიწროვებია მისი გზა. საჩივრის წაკითხვის შემდეგ, მომრ. მოსამართლემ მისცა წინადადება გამგებელსა, რომ მორიგებით გაათავეთ საქმეო, რადგან, როგორც საქმიდამ ამოჩნდა, გზა არც იმისო იყო და არც საზოგადო; მხოლოთ სახლი მღვდლისა იდგა ეკკლესიისაგან იჯარით აღებულს ადგილზე. მაგრამ გამგებელმან ძალიან წინაღმდეგათ მიიღო მოსამართლის წინადადება და უთხრა: საკუთარი ადგილი თუ არ არის ჩემი, საზოგადო გზა ხომ არისო; როცა გამგებელმა ამაზედაც დამტკიცება მიიღო მოსამართლესაგან, რომ გზა არც საზოგადო არისო, ის დაეთანხმა ამ საჩივრის მოსპობაზე, მხოლოთ ნება მქონდეს, რომ უჩივლო, ვითარცა ეკკლესიის მამულის გამგებელმაო.

შემდეგ მომრიგებელ მოსამართლემ დაიწყო მეორე საქმე ამავე მღვდლებისა და ამავე ადგილის თაობაზედ, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ, როდესაც სახლს აშენებდა მეორე მღვდელი თავის იჯარით აღებულს ადგილზედ, მიუხტა უფალი გამგებელი, გალახა მუშები, გარეკა ხარები მასალას რომ ზიდავდნენ და აღუკრძალა მუშაობა მღვდელსაო. ამის გამო მუშაობა ათი დღე იყო შეწყვეტილიო. ამ საქმეზედაც სთხოვა მოსამართლემ მორიგება. რასაკვირველია, გამგებელი დაეთანხმებოდა, რადგან მისი ნაწარმოები საქმე იყო კანონის წინააღმდეგი, მაგრამ მეორის მღვდლის ვექილმა უპასუხა, რომ ჩემის მარწმუნებლისა უკითხავათ, მორიგება არ შემიძლიანო; ჰკითხეს მეორე მღვდელსა. ამან უპასუხა, რომ დიდის კმაყოფილებით დავტოვებ საჩივარს, უკეთუ უფალი გამგებელი მთხოვსო. მომრიგ. მოსამართლემ და სხვებმაც ურჩიეს გამგებელს, რომ ეთხოვნა და გარიგებულიყვნენ, მაგრამ გამგებელი, რომელსაც უნდა ახსოვდეს „სახარება იოანესი, თავი 14, მუხლი 34 და 35“, ისე გამაგრდა რომ არ მოურიგდა და პასუხათ უთხრა მომრიგ. მოსამართლეს: — „საფუძველსამებრ ამა და ამ მუხლისა, სისხლის სამართლის კანონსა, მე მოვედი ვითარცა გამგებელი ეკკლესიის მამულების და აღუკრძალე მითვისება ადგილისაო.“ მოლაპარაკების შემდგომ ერთხელ კიდევ სთხოვა მოსამართლემ გამგებელს, რომ ბოდიში მოეხადნა, მაგრამ ის დალოცვილი თავისას არ იშლიდა და გაცხარებული ამბობდა: „უეჭველათ უნდა დაუნგრიო იმას სახლიო, აბა ნახეთ, შემიძლია დანგრევა იმ სახლისა, თუ არაო!“

ამის შემდგომ მოსამართლე შეუდგა განჩინების წერას. მე არ დავესწრებივარ განჩინების გამოცხადებაზე, მაგრამ თვით საქმის გარემოებაზე აი რა მითხრეს იქაურებმა: გამგებლის მოწინააღმდეგე მღვდელს აგერ რვა წელიწადია აქვს თურმე აღებული ეკკლესიისაგან ერთი ადგილი, და იჯარასაც იხდის; ამ ადგილზე მღვდელს უდგია სახლი; იმა ადგილის პირდაპირ გამგებელი სახლობს, შუაზედ საზოგადო გზა აქვთ. გამგებელმან, როგორც ამბობენ, ცოტაოდენი ნაწილი საზოგადო გზისა თავის ეზოს შეუმატა და რადგანაც, ამის გამო გზა შევიწროვდა, ხალხმა მეორეს მღვდლის ადგილზედ დაიწყო სიარული.

ეს არის თავდაპირველი საფუძველი ამ ორი მღვდლის განხეთქილებისა და მოუთავებელი დავისა.

ამ გვარი განხეთქილება და უთანხმოება ერთმანეთში ერის კაცებსაც არ მიეტევება და სამწუხარო არის. სასულიერო პირები კი, რომელთაც უნდა აჩვენონ საზოგადოებას კეთილი და მშვიდობიანობის მაგალითი, ორჯელ უფრო მომატებულათ გასაკიცხნი არიან ამისთანა საქმეებისთვის.

გ. გ.

---

სამშაბათს, საღამოს, ტფილისის მცხოვრებლებმა ნახეს ერთი შესანიშნავი ბუნების მოვლინება, რომელიც ჩრდილოეთის ქვეყნებში ძალიან ხშირია, მაგრამ ჩვენში და საზოგადოთ სამხრეთის ქვეყნებში, ძალიან იშვიათათ შეუნიშნავთ. ამ მოვლინებას რუსულათ „Сѣверное сіяніе“-ს უძახიან. 7 საათზე, საღამოს, ჩრდილოეთ-სამხრეთისაკენ ცეცხლის-ფრათ გაწითლდა ცა, ასე რომ ზოგიერთებს ეგონათ ტყე იწვისო. შემდეგ სინათლე თან და თან მატულობდა და დასავლეთისკენ გადმოვიდა; ამ სიწითლეში რამდონიმე ნათელი სვეტები მოჩნდა. შუაღამის შემდეგ სიწითლე თან და თან კლებულობდა. მკითხველი დარწმუნებული იყოს, რომ ეს მოვლენა არც სისხლის ღვრას, არც შიმშილს და სხვა არც რამე უბედურებას არ მოასწავებს.

---

# რუსეთი

„პეტერბურღის უწყებებში“ სწერენ: „რამდონიმეჯერ წავიკითხეთ ჩვენ უცხო-ქვეყნების გაზეთებში, ვითომც რუსეთი ბესარაბიაში, ავსტრიისა და მოლდავიის სამზღვრებზე, აგროვებდეს ჯარსა. მართალია, ბესარაბიაში ორი პოლკი ყაზახები გაგზავნეს [illegible], მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ავსტრიის და მოლდავიის სამზღვარზე უნდოდეს ჩვენ მმართებლობას ჯარის მოგროვება: ეს განკარგულება მოახდინეს იმისთვის, რომ ამ ზაფხულს ზოგიერთ უეზდებში გლეხებმა ურჩობა მოახდინეს და რომ შემდეგშიაც არ გაემეორებიათ ეს, იქაურმა მთავრობამ ორი პოლკი ყაზახები მოითხოვა.

*
* *

პოლტავის კორრესპონდენტი ერთი რუსული გაზეთისა იწერება, რომ ყველა აქაური ნოტარიუსების კანტორებში მარტო ქალები მუშაობენო. ამას გარდა იქაური მომრიგებელი მოსამართლეებისა და ოლქის სასამართლოს კანცელარიებშიაც ბევრი ქალები მსახურობენ თურმე მწერლებათ და სხვა თანამდებობებში.

*
* *

ერთი რუსული გაზეთის კორრესპონდენტი იწერება კიევიდამ, რომ იქაური სასოფლო ბანკების საქმე, რომლისთვისაც ისე სცდილობდა მმართებლობა, საუბედუროთ, ვერ მიდის რიგიანათო. მიზეზათ ის მოჰყავს, რომ თვითონ გლეხებს არ ესმისთ კარგათ ბანკის სარგებლობა და ბანკების გამმართველები (ჩინოვნიკები) კი არ სცდილობენ აუხსნან გლეხებს იმათი სარგებლობაო. ზოგან თითქმის ძალით გადაუხდევინებიათ გლეხებისთვის ფულები ბანკების გასამართავათ, ძაგრამ, რადგან ხალხს არ უსარგებლია იმათი, ამ ნაირათ გამართულ ბანკებს დიდხანს ვერ უცხოვრიათ: თავისით მოსპობილან. ამ ჟამად კიევში, როგორც კორრესპონდენტი იწერება, მთავრობა ახალ პროექტს არდგენს სასოფლო ბანკებისთვის.

*
* *

ახლანდელი საფრანგეთის მდგომარეობის გამო, ბევრი იქაური მცხოვრებლები იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ თავის საცხოვრებელი ადგილი და გასულიყვნენ საფრანგეთიდამ. მაგ. ნემცები, რომელნიც, უეჭველია, თვითონ საფრანგეთშივე დაეხმარებოდნენ თავიანთებს, მმართებლობის ბრძანებით გაიდნენ საფრანგეთიდგან. ნემცებისა და უცხო ქვეყნელების გასვლა საფრანგეთიდამ გასაკვირველი და სამწუხარო საქმე არ არის. სამწუხარო ის არის, რომ თვითონ ფრანცუზები გადიან საფრანგეთიდამ და უცხო ქვეყნებში მიდიან, საცა იმათ შეუძლიათ უფრო მშვიდობიანათ ცხოვრება... მთელი უკანასკნელი ფურცელი პეტერბურღის გაზეთებისა სავსეა ამ უკანასკნელ ხანებში საფრანგეთიდამ გამოსული ფრანცუზების განცხადებებით. ისინი გუვერნიორობას და ფრანცუზული ენის მასწავლებლობას ჩემულობენ; მაგრამ, როგორც მშვენიერათ შენიშნა ერთმა რუსულმა გაზეთმა, ის კაცები, რომელთაც ამისთანა გაჭირვების დროს მიატოვეს თავიანთი სამშობლო, თავის დღეში ვერ იქნებიან ხეირიანი აღმზრდელნი ახალი თაობისა და ვერაფელს კეთილს ჩაუნერგავენ გულში ყმაწვილსა.—

*
* *

ოდესის გაზეთში სწერენ, რომ ამ ქალაქში შემდგარა რამდონიმე პირისაგან ისეთი საზოგადოება, რომელსაც მიზნათ ექნება—ქალებში განათლების გავრცელება. საზოგადოებას თავის პროექტი უმაღლესი მთავრობისთვის წარუდგენია დასამტკიცებლათ.

*
* *

ესპანიის ერობის კრებაში ერთ წევრს წარუდგენია პროექტი, რომლის ძალით უბრალო ხალხი „ვალდებული“ უნდა იყოს, რომ ისწავლოს შკოლებში წერა-კითხვა. მმართებლობამ უნდა გამოსცეს, ამ პროექტისა დაგვარათ, ახალი კანონები. ესპანიის ერობას დიდის თანაგრძნობით მიუღია ეს პროექტი და გარდაუწყვეტია იმის წარდგენა მმართებლობისათვის დასამტკიცებლათ.

*
* *

ერთი რუსული გაზეთი გვაცნობებს, ვითომც უწ. სინოდსა და ამერიკის ეპისკო-

პოზს შუა იყოს მოლაპარაკება იმაზე, რომ შეაერთონ მმართლმადიდებლობის და ეპისკოპალის ეკლესია, ე. ი. რომ ამ ორ სარწმუნოებას შუა არაფერი განსხვავება იქნეს. უწმ. სინოდის აზრით, ამორი ეკლესიის შეერთება მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც ანგლიკანის (ეპისკოპალის) ეკლესია მიიღებს უცვლებლათ ჩვენი ეკლესიის წესებსაო.

⁂

პეტერბურღში სულ 1,080 კაცი გამხდარა ავათ ხოლერითა; ამ რიცხვში 397 მორჩენილა და 440 მომკვდარა ამ ავათმყოფობითა. დანარჩენ 243 კაცში უმეტესი ნაწილი მორჩენილების რიცხვში უნდა ჩაითვალოს. ამ ხანებში, როგორც იწერებიან, იქ უკლია ხოლერას.

⁂

„ხალხში განათლების გასავრცელებლათა და სასოფლო შკოლების ხელის მოსამართავათ, აი რა საშუალებები მიუღია ნოვოუზენის ზემსტვოს: უნდა სთხოვონ მომრიგებელ მოშუამდგომლეებს, რომ იმათ ჩააგონონ გლეხებს განათლების სარგებლობა და მისცენ ყოველთვის თავიანთ შვილებს შკოლებ'ში სიარულის ნება. 2) საუკეთესო სასოფლო შკოლების მასწავლებლები (რომელთაც 300 მან. ეძლევათ ჯამაგირი) ღირსეულათ დასაჩუქრონ. 3) კარგათ უნდა გამართონ და გაამრავლონ წიგნებითა შკოლების ბიბლიოთეკები. 5) საქალებო შკოლები უნდა გაამრავლონ. 5) ყოველ წელიწადს უნდა შეკრიბონ ნოვოუზენის შკოლების მასწავლებლები და ამათ უნდა მოილაპარაკონ შკოლების გაუმჯობესობის თაობაზე. 6) მომრიგებელ მოშუამდგომლებმა უნდა ჩააგონონ გლეხებსა, რომ იმათ, თავის ხარჯით, ააშენონ სადგომები შკოლებისთვის.

# ნარევი

საფრანგეთის მმართებლობისაგან დანიშნულმა ქიმიურმა კამისიამ საშინელი რამეები მოიგონა ნემცების ჯარის გასაწყვეტათ. სწერენ, რომ სხვათა შორის იმას მოუგონია ერთი შუშხუნა, რომელსაც „სატანის შუშხუნა“ ჰქვია და რომელიც აი როგორ არის თურმე გაკეთებული: უბრალო შუშხუნას ბოლოზე მიკრულია კარგა მოზდო ბუშტი თხელი ქესტისა; ამ დიდ ბუშტში სძევს მეორე მომცრო ბუშტი, რომელიც გატენილია მფეთქავი ნივთით—გოგირდის ნახშირ-გვარით. დიდსა და პატარა ბუშტებს შუა ჩასხმულია პეტროლეუმი (ნევთი). შუშხუნას და პატარა ბუშტს შუა გაყვანილია პატრუქი. შუშხუნას გაუშვებენ მტრისაკენ და პატრუქის ცეცხლი რომ გოგირდამდი მიაწევს, ბუშტი გასქდება, პეტროლეუმს ცეცხლი მოეკიდება და ცეცხლის წვიმასავით დაესხმება მტერს თავზე.—ეს საშინელი ადამიანის გასაწყვეტი საშუალება რომ მოიგონეს პირველათ ფრანცუზებმა, იმათ არ უნდოდათ ომიანობის დროს ეხმარათ, მაგრამ, როცა ნახეს, რომ ნემცები, სტრასბურღის ალების დროს, პეტროლეუმით გავსებულ ბომბებს უშვებდენ ამ ქალაქში,—იმათაც გადაწყვიტეს ამ „სატანის შუშხუნის“ ხმარება.

⁂

წინანდელი „დროების“ „ნარევში“ ერთი შემთხვევა იყო, რომელიც გვიჩვენებდა, რომ ერთს სასულიერო სასწავლებელში ცემა-ტყეპა აქამომდი შაგირდების გასაწურთნელ საშუალებათ მიაჩნიათ. ერთს რუსულ გაზეთში სწერენ ახლა, რომ ის მასწავლებელი სასულიერო სასწავლებელისა, რომელსაც გაუწკეპლავს შაგირდი, გამოუგდიათ სამსახურიდგან და ამასთანავე მთავრობას მოუხდენია განკარგულება, რომ ის შემდეგშიაც არსად არ მიიღონ სასულიერო წოდებისა და სასწავლებლო სამსახურში.

⁂

სხვათა შორის ლიონშიაც არის დაჭრილების მზრუნველი კომიტეტი; ამ კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა—არლე-დიუფურმა შემდეგი წიგნი მისწერა პრუსიის კოროლევას-ავგუსტას: „თქვენო უდიდესობავ! თქვენი კეთილი მაგალითი დაჭრილების ზრუნვაში წაუბაძავათ არ დარჩენილა: ნემცებისა და ფრანცუზების ქალებმაც, თქვენი მიბაძვით, გულმხურვალეთ მოჰკიდეს ხელი ამ კეთილ საქმეს და დღე და ღამ უვლიან გაჭირვებულ, უპატრონო დაჭრილებსა. მომეტებულ ნაწილს უგუნურათ მიაჩნია ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ ქალებსაც ისეთივე უფლებაები უნდა ჰქონდეს ყველაფერში მინიჭებული, როგორიც კაცებსა აქვსო. მეც იმ უგუნურებთ რიცხვში ურევივარ, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ ეს აუარებელი ხალხის გამჟლეტი ომი არ მოხდებოდა, ქალებსაც რომ კაცებსავით ჰქონოდათ ხმის ამოღებისა და სახელმწიფო საქმეებში გარევის უფლება. მე აგრეთვე დარწმუნებული ვარ, რომ სუყველა ქალები, რომელნიც ახლა სტირიან და იგლოვენ ომში დახოცილ საყვარელ სულდგმულებს, ყველა ეს ქალები რომ შეიკრიბონ, და ერთხმით მოითხოვონ ომიანობის მოსპობა—იმათ ხმას გაიგონებენ და ომს მოსპობენ. ვისურვებ, რომ სიყვარულისა და მშვიდობიანობის ღმერთმა გაამხნევოს ისინი და დაუფაროს იმათ, ვინც საყვარლები გააჩნიათ“.

⁂

საარბრუკში გაასამართლეს ნემცებმა ამას წინეთ, სახელმწიფოს ღალატობისათვის, ერთი მადნის მთხრელი მუშა, რომელსაც შემდეგ დანაშაულობას აბრალებდნენ: ეს მადნის მუშა იყო თურმე ფრანცუზის ჯარის გზის მაჩვენებელი; ერთ საღამოს იმან შეიყვანა თავისას რამდენიმე ფრანცუზის სალდათი, ჩამოუსხა იმათ არაყი და უთხრა: „აი, ამ ადგილიდამ თქვენ შეგიძლიათ ესროლოთ იმ ძაღლებს—ნემცებსაო“. მოსამართლეებმა გადაუჭრეს იმას ორი წლის კატორღაში მუშაობა.

⁂

პრუსიის კაროლს ვილჰელმს მოუვიდა ამერიკიდამ ერთი ნემეცის წიგნი, რომელშიაც ის იწერება: თქვენო უდიდესობავ! როდესაც 1835 წ. ნაპოლეონი ამერიკაში იყო, მე და ის მეზობლებთ ვიყავით; იმას ეჭირა ჩემ გვერდით ერთი პატარა ოთახი. მე არ დამვიწყნია ის ჯერ და გადაეცით ჩემ მაგიერ, რომ, თუ იმისთვის საწყენათ არ დარჩება, მობრძანდეს ჩემთან: მე შემიძლია მივცე იმას ერთი თავისუფალი ოთახი.“

⁂

ამბობენ, რომ პარიჟში ახლაც იჭერენ პრუსიის შპიონებსაო. „ჩემი თვალის წინ დაიჭირეს, იწერება ერთი კორრესპონდენტი, ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც დიდ ფულს აძლევდა პატრონის ფაბრიკის ორ მუშას, ოღონდ თქვენი პასპორტი მომეცითო. ეს ყმაწვილი კაცი ბოლოს გატყდა, რომ იმას უნდა აეფეთქნა ის ფაბრიკა, რომელიც თოფის პატრონებს ამზადებს.“

⁂

გამოანგარიშებულია, რომ ამ ჟამად თითქმის 150,000 ფრანცუზები არიან ნემცების ჯარისაგან დატყვევებული და გერმანიის ციხეებში სხედან. ამ დატყვევებულ ფრანცუზებს ნემცები ამუშავებენ სხვა და სხვა ძნელ სამუშაოში; სხვათა შორის ისინი ეხმარებიან ნემცებს მუშაობაში სიმაგრეების აგებაზე. წარმოიდგინეთ იმ კაცის ზნეობითი მდგომარეობა, რომელიც იძულებულია თავის მტერს დაეხმაროს თავის ძმების დახოცვაში და სამშობლოს დაღუპვაში...

⁂

პრუსიის მმართებლობა მუდამ აცხადებს თავის ჯარში მოკლულების, დაჭრილების და დაკარგულების რიცხვს. უკანასკნელი სია მესამოცდა თერთმეტეა, ამ სიიდამ სჩანს, რომ ნემცების ჯარში ამ ომიანობაში 2,088 აფიცარი და ღენერალი დახოცილა და 46.480 სალდათი. ამ სიაში უკანასკნელი დროს ზიანი არ არის მოყვანილი, მაგრამ მაინც ძალიან ცოტაა...

⁂

სტრასბურღის ალების დროს ამ ქალაქში დაუხოცავთ ნემცებს 1,700 კაცი და ოთხასი სახლი დამწვარა ბომბებისაგან, ასე რომ 10,000 კაცი სრულიად უსახლ-კაროთ და ულუკმა-პუროთ დარჩენილა. საზოგადო რიცხვი ქალაქის ზიანისა, როგორც გამოუანგარიშებიათ, 180 მილიონ ფრანკს შეადგენს.

⁂

ერთ ისეთ ამბავს ვაცნობებთ ჩვენ მკითხველს, რომელიც იმას შეიძლება არაკათ ეჩვენოს; მაგრამ, ეს რომ მართალია, ამაში ყველა დარწმუნებული იქნება, ვინც გაზეთებსა ჰკითხულობს. „დროებაში“ იყო მოხსენებული, რომ ნემცების ჯარისაგან გარშემორტყმული და შეკრული პარიჟი აეროსტატით ატყობინებს თავის ამბებს საფრანგეთს და ქვეყანასაო. მაგრამ, არ იკითხავთ თვითონ პარიჟი კი რა რიგათ ტყობილობს ამ ჟამად ქვეყნის ამბებს? ამავე ჰაერის გზით, ე. ი. აეროსტატით ხომ თითქმის შეუძლებელი საქმეა, რადგან სადმე სხვაგან აშვებულ აეროსტატს მაინცა და მაინც პარიჟში არ ჩამოუშვებს ძირს ქარი. ამ შემთხვევაში პარიჟელები უნდა უმადლოდნენ მტრედებს, ანუ უკეთ ვსთქვათ მტრედის ფოჩტას. საფრანგეთში ჰყავთ გაწაფული მტრედები, რომლებსაც მიაბმენ ფეხებზე ან ყელზე თხელ ქაღალდზე დაწერილ ბარათებს, იქაური მმართებლობის განკარგულებაებს და სხვა საჭირო ამბების აწერას, აუშვებენ მაღლა და ეს მიფრინავს პარიჟში, სადაც თავიდამვე არის მიჩვეული და სადაც ჩამოართმევენ წიგნებსა და სხვა ყველა ქაღალდებს.

⁂

ნაპოლეონის ტახტის დაუქმების შემდეგ, ახალმა მმართებლობამ იპოვა სხვა და სხვა საიდუმლო ქაღალდები,—ნაპოლეონის და მისი სახლობის და მინისტრების, ან სხვა შესანიშნავი პირების მიწერ-მოწერა. მმართებლობამ მაშინვე განკარგულება ქნა, რომ ეს ქაღალდები საფრანგეთის ისტორიისთვის ძვირფასი მასალები არიანო, და ამის გამო სახელმწიფო ხარჯით უნდა დაიბეჭდონო. ამ განკარგულების ძალით გამოვიდა ეხლა ეს მიწერ-მოწერა, რომლიდგან გაზეთებს რამდენიმე შესანიშნავი ადგილები მოჰყავთ. სხვათა შორის შესანიშნავია, ერთი ქაღალდი, რომელიც ამტკიცებს, რომ თუმც ნაპოლეონი საფრანგეთის ჯარის დამარცხების შემდგომ, პარლამენტის და ხალხის ნებით ჯარის უფროსობიდან გადაყენებული იყო, მაგრამ მაინც ის უფროსობდა ყველაფერზე სედანის დამარცხებამდი.—მაშასადამე პალიკაოს და სხვა მინისტრების „პატიოსანი სიტყვა—ნაპოლეონი ეხლა აღარაფერში ერევაო, სიცრუვე და სიყალბე ყოფილა.

⁂

შესანიშნავია კიდევ ის წიგნი, რომელიც ამტკიცებს, რომ ნაპოლეონს ყოველი ღონისძიება უხმარია წლეულს პეტრე ბონოპარტეს გასამართლებლათ, რომელი ისჯებოდა როშფორის მეგობრის მოკვლისთვის. მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ამ პროცესის დროს პროკურორმა გრანპერრემ, გასამტყუნებელი სიტყვის მაგის გასამართლებელი სიტყვა თქვა, ე. ი. პროკურორიდან ადვოკატათ გადიქცა.—ეხლა ნახეს ამ პროკურორის წიგნი, რომელშიაც ის ნაპოლეონის სეკრეტარს მადლობას უცხადებს, რომ იმპერატორმა ჩემი ღვაწლი შენიშნაო და სხვა.

⁂

შესანიშნავია კიდევ ნაპოლეონის დაახლოვებული მეგობრის—პერსინის—წიგნი, რომელშიაც ნათქვამია, სჯობს ოცდაათი თუ ორმოცი ათასი ფრანკი ქრთამათ მივცეთო ერთს ადვოკატს სანდონს. ეს ადვოკატი ნაპოლეონის მინისტრმა ბილიომ უსამართლოთ დაატუსაღა და შემდგომ—მოყიდული ექიმების მოწმობის ძალით—გიჟების სახლში ჩასვა, მხოლოდ იმისთვის, რომ სანდონს ბილიოს წერილები ჰქონდა, რომელშიაც ბილიო რესპუბლიკის აზრებს ამტკიცებდა.

# განცხადება

„დროების“ რედაქციამ მიიღო სია ქართული ძველი ხელნაწერი წიგნებისა, რომელნიც უფ. აბეტიქ ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიაში ისყიდებიან. ეს სია ქვემოთ არის მოყვანილი. ვინ არ იცის-რა ძვირია საზოგადოთ ჩვენში ძველი ხელნაწერი წიგნები; ვინ არ იცის აგრეთვე, რომ ამ ძველ წიგნებში ზოგიერთები ძალიან ძვირფასნი არიან ჩვენი სამშობლოსა და წინაპრების ცხოვრების გასაცნობელათ? საუბედუროთ, ვისაც კი აქვს ჩვენში თითო-ოროლა ძველი წიგნი, ისინიც მაგრათ ინახვენ ცხრაკეტილში და არავის არ აძლევენ, თითქოს ზანდუკში შენახულს წიგნს რამე ფასი ჰქონდეს *). ძალიან სასიამოვნო საქმე იქნება, რომ უფ. ენფიანჯიანცის წიგნები, თუ იმათ რიცხვში არის რამ შესანიშნავი, იმისთანა პირმა შეიძინოს, რომელმაც, ზემოხსენებულებსავით, არ დაკეტოს ისინი ზანდუკში და არავის ასარგებლოს. ყველაზე უკეთესი კი ის იქნება, რომ ისინი შეიძინოს ძველი წიგნების გამომცემმა საზოგადოებამ, რომელიც შარშან შესდგა თფილისში.

1) **ლექსიკონი**—საბა სულხან ორბელიანისა. შედგენილია 1685 წ.

2) **წმ. დიონოსი არეოპაგელის წიგნი.**

3) **არისტოტელის კათიღორია**, პორფირის, დამასკელის, ამმონიოსი, პლატონისა და ხერისაორეის ფილოსოფოსთა წიგნი **). თავში და ბოლოს რამდენიმე ფურცელი აკლია.

4) **პერი არმენია**—არისტოტელის მიერ (?), გადმოთარგმნილი დავითის მიერ არმანთა ფილოსოფოსისა. დაწერილია თფილისში 1764 წ.

5) **წიგნი საზღვართა**—დავით ფილოსოფოსისა. გადმოთარგმნილია ანტონ კათოლიკოზისაგან, მღვდ. ფილიპეს თანაშემწეობით. 1758 წ.

6) **სრული სამართლის კანონი**, დაბადება (?), ბერძული, სომხური, კათოლიკისა, მეფის გიორგისა, ალბულასი, მეფე ვახტანგისა.

7) **ლავსაიკონი**—წიგნი მამათა მეუდაბნოეთა, მოთხრობა და დამატება—ცხოვრება და ღვაწლი წმინდათა მამათა.

8) **ქართლის ცხოვრება** სოლომონის პირველამდე.

9) **აკროსტიხები** ოცდა ათ აღსავალთათვის—იონესაგან სინელისა და საზღვრის დადებანი—გრიგოლ ღვთ მეტყველისა.

10) **სახელმწიფო სვინაქსარი.** ამათ სახელები: მეფეთა, პატრიარქთა, მოციქუ და წინასწარმეტყველთა. დაწერ. ქართ ქორონიკონს უ. მ. დ.

11) **კალენდარი სასიზმრო** ძვრისა ქუხილისა, ზედნადებისა, ცათ-მხილვა. გორც სჩანს, ფრიად ძველი წიგნი უნდა ი

12) **წიგნი აღსარებისა.**

13) **სამოციქულო**, ხელნაწერი. დაწ ლია ქართ. ქორონ. უ. ნ. თ.

14) **პარაკლისი** ყოველთა წმიდათა მ ზავებელნი.

15) **კათიგორი** და იოანნე დამა ლის ღვთის-მეტყველება. დაწერ. 18 წ. ქართ. ქორონ. ტ. ქ. ც.

16) **ჟამნი.** გლახათ დაწერილია, შა ღალდზე.

17) **სძლის პირნი** ღვთის-მშობლისანი. 1784 წ.

18) **კიდევ ჟამნი**—პატარა წიგნია.

19) **ტიბიკონი**

20) **წიგნი ნე მესიოსი.** ძალიან წიგნსა ჩამოჰგავს.

21) **სიმეტნე (?) ღრამმატიკისა.**

22) **ცნობა ისტორიული და ღეოღ ფიული** (ზღაპარ, სიტყვაობა)—რუსულის ქართულათ გადმოღებული საქართველო ფის და რუსეთის ღენერალ-მაიორის თისაგან.

23) **მღვდელ მთავრის ლიტურღიის მარტება** და ათორმეტ წარწერილებანი-მ ძის დავითისაგან ქმნილნი და სჯუ **კანონი**—იოანე მმარხველისა.

24) **სოგრატ ფილოსოფოსის** წიგ რუსულიდამ ქართულათ გადმოთარგმნ ერასტი ტურქისტანოვისაგ

25) **ლოცვა და ფილოსოფია.**

26) **ქართული ღრამატიკა.**

27) **წიგნი კეისრის ფუნციანუსისა** ცოლისა და შვილისა და შვიდ ფილოსოფ თა.

28) **ანდერძის წიგნი**—ანტონი კა ლიკოზისა. 1793 წ.

29) **ქებითი წიგნი** ირაკლი საქართვე მეფის ადმი,—ქმნილი იოანე დიაკო მიერ.

30) **ბექან მანიქავის (?)** წიგნი—ლ თქმული 1829 წ.

31) **სრული სამთვარიო**

32) **ეპისტოლე** ნაპოლეონ ბონაპა პიოს VII პაპისა მიმართ.

33) ერთი თაბახი **ლექსი**—დედისაგან ლებზედ.

34) ერთი თაბახი **მუხამბაზი** თ. გი გის თუმანოვისა.

თითქმის ყველა ეს წიგნები დაწერ ძველს, ლურჯ და სქელ ქაღალდზე, ან ც ოდე ნაწილი პერგამენტზე და ზოგი იმ ნი მშვენიერი ხელით არის გადაწერილი. გარდა უფ. ენფიანჯიანცს აქვს ასამდ ლი სომხური ხელნაწერი წიგნები, აგ ზოგი სქელ ქაღალდზე და ზოგი პერგა ზე დაწერილი.—

---

„მნათობის“ რედაქცია აცხადებს ამით, ვისაც წარსული 1869 წლის „მნათობის“ დრი ფული ჯერაც არ გამოუგზავნია „ თობის“ რედაქციაში, ამ ერთი თვის გ ლობაში უთუოდ გამოგზავნოს; და ვინ **გამოგზავნის, იმის სახელს რედაქცია მოაცხადებს.**

აგრეთვე ვინც წლევანდელი 1870 წ. „მ თობის“ ხვედრ ფულს არ შემოიტანს, რედაქცია აღარ გაუგზავნის შემდეგ ნომ

---

ისყიდება სახლი ბაღით და ცალკე სტ. სოვ. ორლოვსკისა იერმოლოვის ზე, ინსტიტუტის პირდაპირ.—ფასი ჰკით პატრონს.

---

*) ჩვენ გაგვიგონია, რომ ერთ თავადიშვილს ზემო იმერეთში კარგა ბლომათ აქვს ძველი ქართული წიგნებიო, მაგრამ ის დალოცვილი, არა თუ სათხოვებლათ, საჩვენებლათაც არავის აძლევს თურმე.

**) საცა ავტორების სახელები ვერ ვიტყვით, რომ საქები საქმე იყოს და ქორონიკონი არ არის მოყვანილი, იქ არც თვითონ წიგნში არის ნაჩვენები.

ეროვნული

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Октября 1870 г.
ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.